

დამტკიცებულია: -----

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის

2014 წლის 05 ნოემბრის

79 ბრძანებით

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

1. ცეცხლის კერის დანახვისთანავე დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა ან შეეცადეთ ჩააქროთ ცეცხლი. საჭროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.
2. თუ გადაწყვეტთ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლოთ ცეცხლს მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:
 - 2.1. თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში;
 - 2.2. უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. თუ წესები არ იცით დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.
 - 2.3. აუცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.
 - 2.4. კოლეჯის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მოთხოვნის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა.
3. თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას:
 - ა) შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა;
 - ბ) თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარი, აუცილებლად დაკეტეთ ყველა კარი;
 - გ) იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.

4. თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწვეთ იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.

5. თუ გადაწყვეტით გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოდრავით შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები.

6. სსსმ სტუდენტები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას ან დახმარება სთხოვონ ადმინისტრაციულ პერსონალს.

7. თუ ნახავთ, რომ შენობა ევაკუირებულია ან იქ იმყოფება მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალი სასწრაფოდ დატოვეთ შენობა. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.

8. ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია



9. საჭირო ნომრები

9.1. გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში დახმარების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომერია **112**

9.2. „112“ არის 24-საათიანი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი, სადაც ყველას შეუძლია დარეკოს გადაუდებელი დახმარების მისაღებად.

9.3. „112“-ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი სახის ტელეფონიდან, ქალაქის ტელეფონიდანაც და მობილურიდანაც. **112-ზე დარეკვა უფასოა**

9.4. 112-ზე დარეკვისას ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად უთხარით ოპერატორს თქვენი სახელი და ადგილსამყოფელი. არ დაკიდოთ ყურმილი პირველმა.